

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ”

საქართველოს კანონის პროექტზე

ა)ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებამ, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის ამოღებამ.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის ძირითადი მიზანია „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანა და მისი შესაბამისობაში მოყვანა დღეს არსებულ კანონმდებლობასთან. კერძოდ, დღეს არსებული ჩანაწერით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და რეპრესირებულის დარღვეული უფლებების აღდგენა ხდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მაშინ როცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადარ ითვალისწინებს უდავო წარმოების წესით პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხრვეპლად აღიარებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

შემოთავაზებული კანონპროექტით ცვლილება შედის „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2

პუნქტში, რამეთუ დღეს არსებული რედაქციით განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მაშინ როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან ამოღებულ იქნა 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი და იგი აღარ ითვალისწინებს უდავო წარმოების წესით პირის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებას.

პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება და მისი დარღვეული უფლებების აღდგენა დავის საგნიდან გამომდინარე (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი) ხდება ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოსათვის პირის აღიარებითი სარჩელით მიმართვის შემდეგ. საკითხს, თუ რა შემთხვევებში შეიძლება აღიარებას აღიარებითი სარჩელი, აწესრიგებს “საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის” 25-ე მუხლი. ამდენად, მიზანშეწონილია „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანა იმ მიზნით, რომ კანონის ზემოაღნიშნული დებულების დანაწესით გაკეთდეს დათქმა იმის შესახებ, რომ განცხადება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს უარყოფით გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. კანონპროექტი შეამცირებს ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

სახელმწიფოს რაიმე, ახალი ფინანსური ვალდებულება არ უჩნდება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

პირებს რომელზედაც გავრცელდება კანონის მოქმედება არ წარმოეშვებათ რაიმე სახის ფინანსური ვალდებულება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი

რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან გადასახდელი არ დგინდება.

გ) კანონპროექტის მიმართულება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართულება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის შინაარსი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და სახელმწიფო, არასახელმწიფო, ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია, დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია-დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არის

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე

დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები:

– პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახა ანჯაფარიძე.